



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 16

ქ. გარდაბანი

26.09.2023



16-06-4-202309261505

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №38 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 30/12/2022, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.161.016537) დამტკიცებულ დანართში და

ა) დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1 ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	41977.7	6457.3	35520.4	42749.0	6216.4	36532.6	48280.6	9759.0	38521.6

გადასახადები	28815.8	0.0	28815.8	29285.0	0.0	29285.0	30600.0	0.0	30600.0
გრანტები	7007.3	6457.3	550.0	6216.4	6216.4	0.0	10269.0	9759.0	510.0
სხვა შემოსავლები	6154.5	0.0	6154.5	7247.6	0.0	7247.6	7411.6	0.0	7411.6
ხარჯები	23159.9	404.2	22755.7	31557.2	614.9	30942.3	37612.9	1593.1	36019.8
შრომის ანაზღაურება	4174.4	0.0	4174.4	5164.8	0.0	5164.8	6695.0	0.0	6695.0
საქონელი და მომსახურება	3636.6	200.3	3436.3	5699.1	372.7	5326.4	7651.0	1305.9	6345.1
პროცენტი	29.7	0.0	29.7	35.0	0.0	35.0	1221.3	0.0	1221.3
სუბსიდიები	11406.2	203.9	11202.3	13581.3	237.2	13344.1	16593.4	282.2	16311.2
გრანტები	55.0	0.0	55.0	1565.0	0.0	1565.0	1055.0	0.0	1055.0
სოციალური უზრუნველყოფა	3522.9	0.0	3522.9	4486.9	3.0	4483.9	3783.5	3.0	3780.5
სხვა ხარჯები	335.0	0.0	335.0	1025.0	2.0	1023.0	613.8	2.0	611.8
საოპერაციო სალდო	18817.8	6053.2	12764.7	11191.8	5601.5	5590.3	10667.6	8165.9	2501.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	16096.6	6183.7	9912.9	21800.7	6064.4	15736.2	20377.7	8754.1	11623.5
ზრდა	17128.4	6183.7	10944.7	24418.2	6064.4	18353.7	24377.7	8754.1	15623.5
კლება	1031.8	0.0	1031.8	2617.5	0.0	2617.5	4000.0	0.0	4000.0
მთლიანი სალდო	2721.2	-130.5	2851.8	10608.9	-462.9	10145.9	9710.0	-588.3	9121.8
ფინანსური აქტივების ცვლილება	2663.8	-130.5	2794.3	10673.9	-462.9	10210.9	10030.4	-588.3	9442.1
ზრდა	2663.8	0.0	2794.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	130.5	2794.3	10673.9	462.9	10210.9	10030.4	588.3	9442.1
ვალდებულებების ცვლილება	-57.5	0.0	-57.5	-65.0	0.0	-65.0	-320.3	0.0	-320.3
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	57.5	0.0	57.5	65.0	0.0	65.0	320.3	0.0	320.3
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ბ) დანართის მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2 ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო	საკუთარი		სახელმწიფო	საკუთარი		სახელმწიფო	საკუთარი

		ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები
შემოსულობები	43009.5	6457.3	36552.1	45366.5	6216.4	39150.1	52280.6	9759.0	42521.6
შემოსავლები	41977.7	6457.3	35520.4	42749.0	6216.4	36532.6	48280.6	9759.0	38521.6
არაფინანსური აქტივების კლება	1031.8	0.0	1031.8	2617.5	0.0	2617.5	4000.0	0.0	4000.0
გადასახდელები	40345.7	6587.9	33757.8	56040.4	6679.3	49361.0	62310.9	10347.2	51963.7
ხარჯები	23159.9	404.2	22755.7	31557.2	614.9	30942.3	37612.9	1593.1	36019.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	17128.4	6183.7	10944.7	24418.2	6064.4	18353.7	24377.7	8754.1	15623.5
ვალდებულებების კლება	57.5	0.0	57.5	65.0	0.0	65.0	320.3	0.0	320.3
ნაშთის ცვლილება	2663.8	-130.5	2794.3	-10673.9	-462.9	10210.9	10030.4	-588.3	9442.1

“

გ) დანართის მესამე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3 ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები **48,280.6 ათასი** ლარის ოდენობით. მათ შორის

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	41977.7	6457.3	35520.4	42749.0	6216.4	36532.6	48280.6	9759.0	38521.6
გადასახადები	28815.8	0.0	28815.8	29285.0	0.0	29285.0	30600.0	0.0	30600.0
გრანტები	7007.3	6457.3	550.0	6216.4	6216.4	0.0	10269.0	9759.0	510.0
სხვა შემოსავლები	6154.5	0.0	6154.5	7247.6	0.0	7247.6	7411.6	0.0	7411.6

“

დ) დანართის მეხუთე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5 ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის შემოსავლები გრანტებიდან (ტრანსფერები) განისაზღვროს **10,269.0** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	7007.3	6457.3	550.0	6216.4	6216.4	0.0	10269.0	9759.0	510.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7007.3	6457.3	550.0	6216.4	6216.4	0.0	10269.0	9759.0	0.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	380.0	380.0	0.0	617.7	617.7	0.0	1605.9	1605.9	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	380.0	380.0	0.0	617.7	617.7	0.0	1605.9	1605.9	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	6627.3	6077.3	550.0	5598.7	5598.7	0.0	8663.1	8153.1	510.0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	5415.3	5415.3	0.0	4836.7	4836.7	0.0	7456.9	7456.9	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	662.0	662.0	0.0	662.0	662.0	0.0	662.0	662.0	0.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	0.0	0.0	0.0	100.0	100.0	0.0	0.0	0.0	0.0
სპეციალური ტრანსფერი	550.0	0.0	550.0	0.0	0.0	0.0	544.1	34.1	510.0

ე) დანართის მეშვიდე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7 ბიუჯეტის ხარჯები

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს **37,612.9** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები

		ო ტრანს ფერებ ო			ო ტრანს ფერებ ო			ო ტრანს ფერებ ო	
ხარჯები	23159.9	404.2	22755.7	31557.2	614.9	30942.3	37612.9	1593.1	36019.8
შრომის ანაზღაურება	4174.4	0.0	4174.4	5164.8	0.0	5164.8	6695.0	0.0	6695.0
საქონელი და მომსახურება	3636.6	200.3	3436.3	5699.1	372.7	5326.4	7651.0	1305.9	6345.1
პროცენტი	29.7	0.0	29.7	35.0	0.0	35.0	1221.3	0.0	1221.3
სუბსიდიები	11406.2	203.9	11202.3	13581.3	237.2	13344.1	16593.4	282.2	16311.2
გრანტები	55.0	0.0	55.0	1565.0	0.0	1565.0	1055.0	0.0	1055.0
სოციალური უზრუნველყოფა	3522.9	0.0	3522.9	4486.9	3.0	4483.9	3783.5	3.0	3780.5
სხვა ხარჯები	335.0	0.0	335.0	1025.0	2.0	1023.0	613.8	2.0	611.8

ვ) დანართის მერვე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8 ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **20,377.7 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **24,377.7 ათასი ლარის** ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების ზრდა	17128.4	24418.2	24377.7

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება **4,000.0 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:

ათასი ლარი

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	1,031.8	2,617.5	1400.0
ძირითადი აქტივები	312.3	1,272.0	2600.0
არაწარმოებული აქტივები	719.5	1,345.5	2600.0
მიწა	719.5	1,345.5	2600.0

ზ) დანართის მეცხრე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9 ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6340.5	9254.6	12530.1

7011	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	6154.9	8508.6	10796.6
70111	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	6154.9	8508.6	10796.6
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	11.1	45.0	70.0
70131	საერთო საკადრო მომსახურება	11.1	45.0	70.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	119.5	646.0	1593.5
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	55.0	55.0	70.0
702	თავდაცვა	225.1	248.2	287.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	8246.7	12690.0	12763.8
7045	ტრანსპორტი	7748.9	11975.0	11946.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7748.9	11975.0	11946.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	497.8	715.0	817.8
705	გარემოს დაცვა	2917.9	3422.6	3982.2
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1318.8	1663.8	2016.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	137.0	218.2	234.6
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	1429.2	1510.6	1681.7
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	33.0	30.0	50.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5707.6	8746.7	8527.7
7061	ბინათმშენებლობა	530.7	1327.0	1324.4
7063	წყალმომარაგება	1117.4	2891.0	2406.0
7064	გარე განათება	2921.4	3401.3	3676.4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1138.0	1127.5	1121.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	446.0	535.5	811.8
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	383.7	460.0	527.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	62.3	75.5	284.8
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	4296.8	8051.1	7724.2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	3205.1	4831.7	4588.9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	824.9	1338.1	1151.6
7083	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	50.0	50.0	50.0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	216.8	1831.3	1933.6
709	განათლება	8416.2	8386.7	11601.1
7091	სკოლამდელი აღზრდა	7805.5	7470.3	9510.3
7092	ზოგადი განათლება	197.1	430.8	1568.7
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	197.1	430.8	1568.7
7093	პროფესიული განათლება	160.5	195.3	210.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	253.1	290.3	312.2
710	სოციალური დაცვა	3748.8	4705.0	4050.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	1858.7	2465.0	1816.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	1796.3	2395.0	1729.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	62.4	70.0	87.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	13.3	23.0	23.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	25.1	30.0	30.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1221.8	1467.0	1530.0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	29.4	47.5	60.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	600.6	672.5	591.0

სულ	40345.7	56040.4	62277.9
-----	---------	---------	---------

თ) დანართის მეათე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10 ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბიუჯეტის საოპერაციო სალდო **10,667.6 ათასი** ლარით ხოლო, მთლიანი სალდო - **9,710.0** ათასი ლარის ოდენობით;“

ი) დანართის მეცამეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13 ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **23,171.8** ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

		ათასი ლარი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	23171.8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	11946.0
02 01 01	გზებისა და ტროტუარების მშენებლობა-რეაბილიტაცია	11816.0
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	40.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	90.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2640.5
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	1002.7
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების ექსპლოატაცია	454.0
02 02 03	საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია	8.7
02 02 05	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	949.3
02 02 06	საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა	225.9
02 03	გარე განათება	3676.4
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	1800.0
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	1876.4
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	1610.2
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	518.9
02 04 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	305.5
02 04 03	მრავალსართულიან საცხოვრებელ შენობებში ლიფტების ექსპლოატაცია/რეაბილიტაცია	500.0
02 04 04	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოვლა-პატრონობა	285.8
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1654.5
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	1645.7
02 06 02	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	8.8
02 07	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები	817.8

02 07 01	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯები	312.8
02 07 02	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები	430.0
02 07 03	ქსელზე დაერთობასა და მონტაჟთან დაკავშირებული ხარჯები	75.0
02 08	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	826.4
02 08 01	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	826.4

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გზებისა და ტროტუარების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 01			11816.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის და გენდერულად მგრძობიარე და პასუხისმგებლიანი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას. გზების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დასაფინანსებლად გამოიყენება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი. გზების კაპიტალური შეკეთების ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. ამ ეტაპზე მუნიციპალური გზების 70% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა და პრიორიტეტიზაცია ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად. გასულ წელს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში მოხდა დაახლოებით 26000 გრძ.მ ამორტიზირებული გზის მოასფალტება. 2023 წელს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 2022 წელს დაწყებული პროექტების დასრულება: სოფელ საცხენისში შიდა გზების მოასფალტების სამუშაოები - 311,438 ლარი. სოფელ ქესალოში, სოფელ ნაზარლოში და სოფელ ჯანდარაში შიდა გზების რეაბილიტაცია -1,629,773 ლარი. ქალაქ გარდაბანში, სოფელ ყარაჯალარში და ყარათაკლიაში შიდა გზების რეაბილიტაცია - 1,209,662 ლარი. სოფელ მარტყოფში ხიდის რეაბილიტაცია - 51,587 ლარი. სოფელ კრწანისში შიდა გზების რეაბილიტაცია - 51,440 ლარი. სოფელ აღთაკლიაში შიდა გზების რეაბილიტაცია - 147,226 ლარი. სოფელ მარტყოფში შიდა გზების რეაბილიტაცია - 253,475 ლარი. სოფელ კალინინოში შიდა გზების რეაბილიტაცია - 205,000 ლარი. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით მოხდება შემდეგი გზების რეაბილიტაცია: სოფელ სართიჭალაში შიდა გზების რეაბილიტაცია - 1,011,000 ლარი. სოფელ მარტყოფში შიდა გზების რეაბილიტაცია - 1,421,000 ლარი. სოფელ გამარჯვებაში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 747,000 ლარი. სოფელ მარტყოფში შიდა გზების (ბეტონის საფარი) - 629,743 ლარი. სოფელ კუმისში შიდა გზის რეაბილიტაცია - 1,219,635 ლარი. სოფელ მარტყოფში შიდა გზების რეაბილიტაცია - 1,419,027 ლარი. 2023-2024 წლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის 2023 წელს განსაზღვრულია: სოფელ ლემშენიერაში შიდა გზების რეაბილიტაცია - 343,935 ლარი, სოფელ ნორიოში შიდა გზების რეაბილიტაცია - 365,400 ლარი, სოფელ ვაზიანში შიდა გზების რეაბილიტაცია - 245,617 ლარი, სოფელ სართიჭალაში შიდა გზების რეაბილიტაცია - 252,548 ლარი. მოეწყობა გენდერულად მგრძობიარე საგზაო ინფრასტრუქტურა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა საჭიროებების გათვალისწინებით მოხდება გზების</p>	

	ადაპტირება, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები და სიჩქარის შემზღვევადი საშუალებები მოეწყობა საზოგადოებრივი მნიშვნელობის სხვადასხვა ობიექტებთან.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის საბოლოო მიზანია გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მუნიციპალური გზის რეაბილიტაცია; მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ახალი გზების მშენებლობა;</p> <p>მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება;</p> <p>ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება;</p> <p>ტურიზმის ხელშეწყობა;</p> <p>მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;</p> <p>საბოლოო შედეგი: შექმნილია გენდერულად მგრძობიარე ადგილობრივი საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 02			40.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებულ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სწრაფი რეაგირება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01 03			90.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტში ხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებისთვის საჭირო ინვენტარის შექმნა. ასევე ხორციელდება მანიშნებელი აბრების მოწყობა, საგზაო ვიდეოკამერების მოწყობა/ექსპლუატაცია.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება;	
		შედეგი: ორგანიზებულია საგზაო მოძრაობა, შექმნილია გენდერულად პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მოსახლეობის (ბავშვების, ქალების, შშმ პირების, მოხუცების და სხვა) უსაფრთხო გადაადგილება.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 01			1002.7
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ახალი სისტემების მშენებლობა-მოწყობა. მიმდინარე წელს იგეგმება გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლების (მარტყოფი, ნორიო, ახალსოფელი, ახალი სამგორი, ვაზიანი) წყალმომარაგების სისტემების მოწყობა, რისთვისაც – 1,000,000 ლარია გამოყოფილი.	

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.
--	--

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 02			454.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდება სატუმბო სადგურებისთვის ქლორის შექმნა და ექსპლოატაციისთვის საჭირო ელ-ენერჯის საფასურის დაფინანსება.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის. სასმელი წყლის სატუმბო სადგურების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა. შედეგი: უზრუნველყოფილია სასმელი წყლის სატუმბო სადგურების შეუფერხებელი მუშაობა		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სასმელი წყლის სისტემის მოვლა-პატრონობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 05			949.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ გარდაბანსერვისი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის 15 სოფელში ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას. მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით. წყალმომარაგების სისტემის გამართული ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული საჭიროებები და სამუშაოების განხორციელების შედეგად მოეწყობა გენდერულად მგრძობიარე ინფრასტრუქტურა. წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. გენდერული როლების გათვალისწინებით სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. გამართული წყალმომარაგება ქალებს შეუძლებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწვევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება აუნაზღაურებლად შრომაში მათ ჩართულობის ხანგრძლივობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების გამართული ქსელის შენარჩუნება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით. შედეგი: მუნიციპალიტეტში მოწყობილია გენდერულად პასუხისმგებელი წყალმომარაგების სისტემა, წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და გაზრდილია სტანდარტების შესაბამის სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა, გაუმჯობესებულია მოსახლეობის საოჯახო და საცხოვრებელი პირობები		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საკანალიზაციო სისტემის მოვლა-პატრონობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 02 06			225.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ გარდაბანსერვისი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტში არსებული სანიაღვრე სისტემის უსაფრთხო მუშაობისთვის გაწმენდით ღონისძიებებს. ქვეპროგრამის ფარგლებში		

	<p>დაფინანსდება არსებული სანიაღვრე სისტემის გაწმენდა, ასევე პერიოდულად ხდება ინსპექტირება და დროული რეაგირება ინსპექტირების შედეგად დადგენილ დაზიანებებზე. ხდება სანიაღვრე ჭების დაზიანებული ჭის სახურავების შეცვლა. ახალი სანიაღვრე ქსელების მოწყობა.</p> <p>ხდება დაზიანებული კანალიზაციის სისტემის შეკეთება და ახალი საკანალიზაციო სისტემის მოწყობა. საკანალიზაციო სისტემის გაწმენდა და რეზერვუარების ამოტუმბვა.</p> <p>მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული გამართული სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემა</p>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული გამართული სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემა</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე-განათების ქსელის ექსპლოატაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 03 01	ა		1800.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარე-განათების ექსპლოატაციისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. დაზიანებული განათების სისტემების შეკეთება.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>განათებული ქალაქი და სოფლები; მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს შექმნა; მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;</p>		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 03 02	ა		1876.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარე-განათების ექსპლოატაციისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. დაზიანებული განათების სისტემების შეკეთება, ახალი გარე-განათების ქსელის მოწყობა. მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის 19 სოფელში მოხდა გარე-განათების მოწყობა. მოეწყო დაახლოებით 3200 ლამპიონი. 2023 წელს იგეგმება სოფელ მარტყოფში გარე განათების მოწყობის სამუშაოების დასრულება, რისთვისაც - 190,339 ლარია გათვალისწინებული. გარდაბნის მუნიციპალიტეტში (ქ.გარდაბანი, მარტყოფი, გამარჯვებანი,ნორიო, თელეთი, ახალი სამგორი, კრწანისი, ყარათაკლია, აღთაკლია, ყარაჯალარი) გარე-განათების მოწყობის სამუშაოები 1,515,130 ლარი. გარდაბნის მუნიციპალიტეტში , ბროწეულას დასახლებაში გარე-განათების მოწყობა - 55,000 ლარი. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, რადიოქარხნის დასახლებაში გარე-განათების მოწყობა -15,000 ლარი. სოფელ მარტყოფში გარე განათების მოწყობა - 73,616.</p> <p>გარე განათების სისტემის მოწყობა გენდერულად მნიშვნელოვანია, რადგან გაუნათებელი ქუჩები განსაკუთრებით რისკის შემცველია ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირებისთვის. გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება ამცირებს დანაშაულის რისკებს.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მიზანი:განათებული ქალაქი და სოფლები; მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს შექმნა; მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება;</p> <p>შედეგი: გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მოწყობილია განათების სისტემა, უზრუნველყოფილია ღამის საათებში მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალების,</p>		

	ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირების) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.
--	--

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 04 01			518.9
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს შენობის გამაგრებას, შიდა და გარე სარემონტო სამუშაოებს. მიმდინარე წელს მოხდა 6 შენობა-ნაგებობების სრული რეაბილიტაცია, კერძოდ: მოხდა შენობების რეკონსტრუქცია, გადახურვა, შიდა და გარე სამღებვრო სამუშაოები, მოეწყო სველი წერტილები, ცენტრალური გათბობა, ელ. გაყვანილობა. ასევე 2022 წელს დაგეგმილია ქალაქ გარდაბანში ა(ა)იპ "საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი"-ს შენობის სრული რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს იგეგმება: სოფ. მარტყოფში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია - 220,020 ლარი. სოფელ თელეთში კულტურის სახლის დემონტაჟი - 20,000 ლარი. სოფელ თელეთში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა - 269,764 ლარი.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სარეაბილიტაციო შენობა-ნაგებობების კეთილმოწყობა. კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული შენობები, სუფთა და მოწესრიგებული სადარბაზოები.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 04 02			305.5
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი კორპუსების გადახურვას. მიმდინარე წელს მოხდა 13 საცხოვრებელი მრავალსართულიანი კორპუსების გადახურვა. ასევე მოხდა 6 შენობა-ნაგებობების სრული რეაბილიტაცია. 2023 წელს დაგეგმილია სოფელ სართიჭალაში 1 ერთეული საცხოვრებელი კორპუსის სახურავის გადახურვის სამუშაოების დასრულება. ქ. გარდაბანში ლესელიძის ქ. N 10 საცხოვრებელი კორპუსის გადახურვა - 17,000 ლარი. გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ვაზიანის დასახლებაში ვეტერანთა კორპუსის გადახურვა -59,000 ლარი.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის საბოლოო მიზანია გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა. პროგრამის შედეგი: მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოვლა-პატრონობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 04 04			285.8
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ გარდაბანსერვისი	

ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობებისა და საცხოვრებელი კორპუსების ლიფტების მომსახურებას. მიმდინარე, კაპიტალურ რემონტსა და სხვა კომუნალურ მომსახურებას საჭიროების შემთხვევაში. ვემსახურებით საცხოვრებელი კორპუსების 18 ლიფტის მოვლა პატრონობა (მიმდინარე რემონტი და სათადარიგო ნაწილების შეცვლა).</p> <p>სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების განათების, საკანალიზაციო და სანტექნიკური მომსახურებები.</p> <p>მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობებისა და საცხოვრებელი კორპუსების ლიფტების მომსახურება. შესრულებული სამუშაოების შედეგად მოეწევა გენდერულად პასუხისმგებლიანი ინფრასტრუქტურა, რადგან მოხუცებს, ბავშვებსა და შშმ პირების შექმნა სხვადასხვა სერვისების მისაღებად მრავალსართულიან შენობებში შეუფერხებლად გადაადგილება.</p>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობებისა და საცხოვრებელი კორპუსების ლიფტების გამართული ფუნქციონირება. შედეგი: მაღალსართულიან შენობებში მოწყობილია გენდერულად პასუხისმგებლიანი კომუნალური ინფრასტრუქტურა.</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 07 01			312.8
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	<p>გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ყოველწლიურად ხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა, რომლის დაგეგმარება ხდება მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე. მიმდინარე წელს მოხდა 60 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, რომლის ნაწილი ასევე ითვალისწინებს 2022 წლის ჩასატარებელ სამუშაოებს. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.</p>	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის საბოლოო მიზანია გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების გაუმჯობესება. პროგრამის შედეგი: მოსახლეობისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა.</p>	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 07 02			430.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში 2022 წელს გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინსტრუქტურული სამუშაოების, 50 000 ლარს ზემოთ ინსპექტირებას ახორციელებს საზედამხედველო კომპანია შპს "საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი". საპროცენტო განაკვეთი შეადგენს შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2.39%. საზედამხედველო კომპანიის წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე ხდება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება.</p>	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროექტის მიზანი საზედამხედველო კომპანიის მიერ მოხდეს მიმდინარე და დასრულებული სამუშაოების ხარისხიანი შესრულება. პროექტის შედეგი: სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულება.</p>	

“

კ) დანართის მეთოთხმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14 დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3,747.7 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

		ათასი ლარი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3747.7
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1590.0
03 01 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1540.0
03 01 02	მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა	50.0
03 02	მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა, განვითარება	1681.7
03 02 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	1542,7
03 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა	139.0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	476.0
03 03 01	ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა	476.0

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 01 01	ა		1,540.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქი	
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ა(ა) იპ„გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქი“ ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 4 ერთეული ნაგავშემკრები მანქანა. ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ გარდაბნიდან და მუნიციპალიტეტში შემავალი 19 ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულიდან. შეგროვებული ნარჩენების გატანა ხდება ახალსამგორის ნაგავსაყრელებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებულია 1 442 ცალი სტანდარტული ლითონის და პლასტმასის 1 100 ლ ტევადობის ურნა, მათ შორის 250 ცალი განთავსებულია ქ. გარდაბანში და 1 192 მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 30-40 ტონა ნარჩენი, ზაფხულის სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 1 891 200 მ² ქუჩების, 1 769 100 მ² ტროტუარების და 122 100 მ² სკვერების და მისი მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება. პროგრამიდან ფინანსდება ქალაქის სასაფლაოს მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურეობის გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქის“-ს ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები, დამლაგებლები და სხვა) ხელფასებს. პროგრამის ფარგლებში ქ.გარდაბნის, მიმდებარე სოფლებში (თელეთი,სართიჭალა,მარტყოფი,ლემშვენიერა,ვაზიანი ,ვახტანგისი,ქესალო,ნაზარლო და ა.შ) ხორციელდება ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავება, მერიის საკუთრებაში ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება. პროგრამის ფარგლებში სუფთავდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სახელმწიფოებრივი გზები .</p> <p>საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება თითქმის მუნიციპალიტეტის მთელ</p>		

	ტერიტორიიდან. ნარჩენების მართვის პროცესში მოხდება გენდერული ასპექტების გათვალისწინება. მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადად ქალები არიან ჩართული საოჯახო საქმეებში და მათი არაანაზღაურებადი შრომის ნაწილია საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე ზრუნვა.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივი სუფთა გარემოს არსებობა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე. მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; შედეგი: მუნიციპალიტეტში გამართულად ფუნქციონირებს ნარჩენების მართვის სისტემა, მოსახლეობისთვის სერვისის მიწოდების პროცესში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები და მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 01 02			50.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მაწანწალა ცხოველების აცრა, გაუვნებელყოფა. საჭიროების შემთხვევაში მათი სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფის შედეგად მიღებული უსაფრთხო გარემო; შედეგი: შექმნილია პირობები მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვისთვის და მოსახლეობისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 02 01			1542.7
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია. 2023 წელს იგეგმება: ქ. გარდაბანში, ლელაშხას დასახლებაში პარკის მოწყობა - 356,240 ლარი. სოფ. წალასყურში(ეკლესიის მიმდებარედ) სკვერის მოწყობა - 152,000 ლარი. სოფ მარტყოფში (სკოლის მიმდებარედ) სკვერის მოწყობა - 225,366 ლარი. სოფელ მარტყოფში ეკლესიის მიმდებარე სკვერის მოწყობა - 148,700 ლარი. სოფელ მარტყოფში აპარნის სალოცავის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები 253,600 ლარი. გარდაბნის მუნიციპალიტეტში 10 (ათი) ერთეული ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები 44,444 ლარი. სოფელ მარტყოფში სკვერის მშენებლობა - 142,000 ლარი (2023-2024 წლის პროექტი). საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით მოხდება შემდეგი პროექტის განხორციელება: სოფელ სართიჭალაში სკვერის მოწყობა - 215,306 ლარი (2023-2024 წლების პროექტი).	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სუფთა და მოწესრიგებული გარემოს შექმნა; ახალი და რეაბილიტირებული სკვერების მოწყობა; მწვანე ნარგავებისა და სივრცეების რაოდენობის გაზრდა;	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
------	-------------------------	--------------------------------------	----------------------------------

	ის დასახელება	სკვერების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარში
03 02 02			139.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ გარდაბანსერვისი	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი ხეების, ყვავილების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა პატრონობა. ხეების გადაბეღვა და შეთეთრება, რათა შენარჩუნებული იქნეს და გაუმჯობესდეს მუნიციპალიტეტის მწვანე საფარი. ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეღვითი სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცეღვითი სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა. შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოწყობილია მწვანე სივრცეები და მოსახლეობის კომფორტული დასვენებისთვის შექმნილია სასიამოვნო და ჯანსაღი გარემო.	

ლ) დანართის მეთხუთმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15 განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **11,111.9 ათასი** ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

		ათასი ლარი
04 00	განათლება	11111.9
04 01	სკოლამდელი განათლება	9510.3
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	9480.0
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაცია	30.3
04 02	დაწყებითი ზოგადი განათლება	1601.7
04 02 01	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	307.8
04 02 02	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება	1260.9
04 02 03	საჯარო სკოლის ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისება	33.0

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01 01			9,480.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება	
	ქვეპროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების	

	<p>დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 34 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 3160 -ი ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას.</p> <p>ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 665 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. სააღმზრდელო ადმინისტრაციაში-19. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება გენდერულად მნიშვნელოვანია, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნითა და ინკლუზიური სწავლების დანერგვით იქნება თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის. ამასთან ხელს უწყობს 2-დან 6-წლამდე ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს უთავისუფლდებათ დრო და საშუალება ეძლევათ დასაქმდნენ, რაც მნიშვნელოვანია ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალთა ეკონომიკური თავისუფლებისთვის.</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღის მომსახურებით, შესაბამის სააღმზრდელო პროცესით. სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; შედეგი: მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის სფეროს თანაბარი ხელმისაწვდომობა 2-დან 6 წლამდე ბავშვებისთვის და ხელშეწყობილია სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მისაღებად.</p>

“

მ) დანართის მეთექვსმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **6,600.6 ათასი** ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

		ათასი ლარი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	6600.6
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	4588.9
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	53.8
05 01 02	სპორტული სკოლების ხელშეწყობა	1890.0
05 01	სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	2565.1

03		
05 01 04	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები	80.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1903.8
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	133.3
05 02 02	ტელევიზიის დაფინანსება	50.0
05 02 03	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	210.0
05 02 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	189.1
05 02 05	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	719.8
05 02 06	მუზეუმების ხელშეწყობა	225.0
05 02 07	მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა	123.1
05 02 08	მეგობრობის ცენტრის ხელშეწყობა	180.0
05 02 09	კულტურის ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	73.5
05 03	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	107.9
05 03 01	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	107.9

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01	ა		53.8
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	გარდაბნის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. სწორედ ამისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური ახორციელებს შემდეგ სპორტულ ღონისძიებებს: „აპარნობა“; „თელეთობა“; „ლევან დევდარიანის სახელობის ტურნირი ფრენბურთში და ფეხბურთში“; „ამირან გაჩეჩილადის სახელობის ტურნირი ფეხბურთში“; „ღვთაებობა“; „სპორტის კვირეული“; და სასკოლო სპორტული ოლიმპიადა.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ღონისძიებებში ჩართულ მონაწილეთა გაზრდილი რაოდენობა. გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა-მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული სკოლების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 02	ა		1890.0

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ააიპ „ გარდაზნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>გარდაზნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის მიზნებია ახალგაზრდა თაობის სპორტული აღზრდა, ცენტრში რეგისტრირებულ სპორტსმენთა ხელშეწყობა და განვითარება. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ფულადი სუბსიდიები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამებისათვის. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფუნქციონირებს 12 სპორტული დარბაზი, 4 სპორტული მოედანი და რამოდენიმე საჯარო სკოლის დარბაზი. აღნიშნულ ობიექტებზე დასაქმებულია 60 მწვრთნელი. ცენტრში ფუნქციონირებს სპორტის 11 სახეობა, ეს სახეობებია: ძიუდო-07 ჯგუფი; თავისუფალი ჭიდაობა-06 ჯგუფი; ბერძნულ-რომაული-03 ჯგუფი; ქართული ჭიდაობა -01 ჯგუფი; ფეხბურთი -06 ჯგუფი; კრივი -05 ჯგუფი; ფარიკაობა -01 ჯგუფი; კალათბურთი -02 ჯგუფი; ჯიუ-ჯიუ-01 ჯგუფი; რაგბი- 02 ჯგუფი; მკლავჭიდი-01 ჯგუფი. სულ 35 ჯგუფი და 850 სპორტსმენი. მუნიციპალიტეტი სპორტული ცენტრის მეშვეობით ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ახორციელებს მათ დაჯილდოვებას, ასევე უზრუნველყოფს ცენტრში სპორტულ წრეებზე მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას ქვეყნის მასშტაბით. ქვეპროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>გარდაზნის მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება-პოპულარიზაცია, ასაკობრივი გუნდების მოზზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში. ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; სპორტული წრეებისა და ჯგუფების რაოდენობის გაზრდა; მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა. შედეგი: ხელშეწყობილია ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და შექმნილია თანაბარი პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული წრეებით სარგებლობისთვის; სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები ჩართულია სპორტულ განვითარებაში.</p>

<p>კოდი</p>	<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია,ექსპლოატაცია</p>	<p>2023 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>
<p>05 01 03</p>			<p>2565.1</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახური</p> <p>ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა სახეობებში სპორტული კლუბების ხელშეწყობა და განვითარება, კლუბების საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა; ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.სპორტული ობიექტების მოწყობის დროს მნიშვნელოვანია გენდერული ასპექტების გათვალისწინება, ამდენად მუნიციპალიტეტი სპორტული მოედნებისა და დარბაზების დაგეგმარების დროს ითვალისწინებს ბიჭებისა და გოგონების ინტერესებს და რესურსების გათვალისწინებით ქმნის გენდერულად მგრძობიარე სპორტული ინფრასტრუქტურას, სადაც გათვალისწინებულია გოგონებისა და ბიჭებისთვის გასახდელეები, სველი წერტილები და მოწყობილია ადაპტირებული გარემო. 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 2022 წლის გარდამავალი პროექტის - სართიჭალის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციის დასრულება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორი ერთეული მინი სტადიონის მოწყობა - 207,928 ლარი. სოფელ კრწანისში საკალათბურთო მოედნის მშენებლობა - 100,745</p>		

	ლარი. სოფელ ნაგებში მინი მოედნის მოწყობის სამუშაოები 104,800 ლარი. გარდაბნის მუნიციპალიტეტში 3 (სამი) ერთეული ტრენაჟორის მოწყობის სამუშაოები 88,888 ლარი; სოფელ სართიჭალაში სპორტულ-სარეაბილიტაციო ფიტნეს ცენტრის შენობის მშენებლობა - 211,100 ლარი (2023-2024 წლების პროექტი); სოფელ მულანლოში სტადიონის რეკონსტრუქცია - 63,300 ლარი; სოფელ სართიჭალაში სპორტული მოედნის მოწყობა - 102,761 ლარი; სოფ. მარტყოფში სპორტული მოედნის მოწყობა- 98,300 ლარი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამი ერთეული მინი-მოედნის მოწყობა - 340,500 ლარი.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა სპორტის სახეობაში. შედეგი: შექმნილია გენდერულად მგრძობიარე სპორტული ინფრასტრუქტურა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 04			80.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო	
	ქვეპროგრამის აღწერა	სპორტის ეროვნულ ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; მწვრთნელ-მასწავლებლებისა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება. მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება;	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში. შედეგი: წარმატებული სპორტსმენები და მათ მწვრთნელები წახალისებული არიან და უზრუნველყოფილია ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01			133.3
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	გარდაბნის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო და სახალხო დღესასწაულების ჩატარებას, როგორცაა : აზერბაიჯანული სახალხო დღესასწაული „ბაირამობა“; ასირიული სახალხო დღესასწაული „ხაბ-ნისანი“; რელიგიური „ადდომის“ დღესასწაული; საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი; სახალხო დღესასწაული „გარდაბნობა“; საახალწლო ღონისძიება; "სპექტაკლის და ფილმების ჩვენება" ქვეპროგრამის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური ვალდებულია იღებს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება დატვირთული იყოს შინაარსობრივად მრავალფეროვანი, სანახაობრივად საინტერესო და კულტურული ღირებულებების მქონე მთელი რიგი ღონისძიებებით, რისთვისაც წლის დასაწყისში კეთდება გეგმა-გრაფიკი და ამ თანამიმდევრობით ხდება მათი განხორციელება. ღონისძიებები ერთმანეთისაგან შინაარსობრივად აბსოლუტურად განსხვავებულია. განათლებისა და კულტურის განყოფილება ცდილობს დანერგოს ინოვაციები, რათა ეს ღონისძიებები პასუხობდეს თანამედროვეობის მოთხოვნებს. ღონისძიებებში მონაწილეობენ, როგორც ადგილობრივი კოლექტივები, ასევე მოწვეული ანსამბლები, ქართული საესტრადო მომღერლები და ფოლკლორული ჯგუფები, ღონისძიებათა	

	ჩასატარებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხა და ხდება მისი გეგმიური გადანაწილება წლის ბოლომდე.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა; მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებითი ღონისძიებებში. შედეგი: შექმნილია პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა და შემოქმედებითი უნარების განვითარება;

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ტელევიზიის დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 02			50.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	საზოგადოების დიდი ნაწილი ახალ ინფორმაციას მიმდინარე პროცესების შესახებ ძირითადად სოციალური მედიის საშუალებით იღებს და ამდენად ინფორმაციის გავრცელების არეალის პრობლემასთან ერთად, მიწოდებული ინფორმაციის ხარისხის საკითხიც დგება.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მოსახლეობას სწორად და დროულად მიეწოდოს ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული წარმატებული სხვადასხვა კულტურული და ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესახებ.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 03			210.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	
	ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების სამი სკოლა: გარდაბნის, ნორიოსა და მარტყოფის. სკოლები მოიცავს საფორტეპიანო, ხალხური საკრავებსა და ვოკალის მიმართულებებს. სკოლაში სწავლა ექვსწლიანია. დაწყებით სამუსიკო განათლებას 200 მოსწავლე ეუფლება. (გარდაბანში -94 მოსწავლე, მარტყოფში -54, ნორიოში -52) გარდაბნის სამუსიკო სკოლაში 15 საშტატო ერთეულია, ნორიოს სამუსიკო სკოლაში - 14, ხოლო - მარტყოფის სამუსიკო სკოლაში -12) პედაგოგების ანაზღაურება საათობრივია. ძირითადი საგნის ღირებულება 14,50 ლარია, არჩევითი საგნის- 14 ლარი). სამუსიკო სკოლებში პედაგოგთა ანაზღაურება თანადაფინანსებითია, ოქტომბრიდან ივნისის ჩათვლით -9 თვე მოსწავლე ყოველთვიურად 16 ლარს იხდის. (მთელი წლის განმავლობაში 25000 ლარი) სოციალურად დაუცველი 10 მოსწავლე გათავისუფლებულია გადასახადის გადახდისაგან.)	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დაწყებითი სამუსიკო განათლების მიზანია: დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ და კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, მუსიკის მსმენელად, მუსიკის შემსრულებელ-მოყვარულად აღზრდას. შემოქმედებით და საინტერპრეტაციო საქმიანობაში ჩაბმის გზით გამოუმუშავებს შემოქმედებითი საქმიანობის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეთა გამოვლენა. კლასიკური მუსიკის, სიმღერის და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება	

	<p>მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, მონაწილეობის მიღება ფესტივალებსა და კონკურსებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.</p> <p>მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები წლის განმავლობაში შეუფერხებლად ფუნქციონირება, სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების და მოზარდების მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება, სკოლის აღსაზრდელების მონაწილეობა კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე ქვეყნის მასშტაბით. მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები წლის განმავლობაში შეუფერხებლად ფუნქციონირებენ და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სამუსიკო დაწყებითი განათლების მისაღებად და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობისთვის. მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები წლის განმავლობაში შეუფერხებლად ფუნქციონირებენ და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სამუსიკო დაწყებითი განათლების მისაღებად და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობისთვის.</p>
--	--

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 04			189.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბიბლიოთეკების დეპარტამენტთან არსებული გარდაბნის(12 საშტ.ერთ), ნორიოს(4 საშტ.ერთ), მარტყოფის(2 საშტ.ერთ), საცხენისის (2 საშტ.ერთ) და გამარჯვების(3 საშტ.ერთ) ბიბლიოთეკები. ბიბლიოთეკების დეპარტამენტის ყოველდღიურად ემსახურება სხვადასხვა ასაკის მკითხველს და ეხმარება ენციკლოპედიების, ლექსიკონების და სხვადასხვა ლიტერატურისა და ინფორმაციის მოძიებაში.</p> <p>ბიბლიოთეკების საერთო წიგნადი ფონდი 65 000 წიგნს შეადგენს, რომელიც ყოველწლიურად ახლდება ახალი ლიტერატურით.</p> <p>ბიბლიოთეკის დეპარტამენტის მუშაობს საკატალოგო ბარათების აღწერა-განახლებაზე; პარალელურად იწარმოება ხმარებისათვის გამოუადგარი, გაცვეთილ და მოძველებული წიგნების ჩამოწერა. წიგნადი ფონდი სუფთავდება პოლიტიკურად და დარგობრივად მოძველებული წიგნებისაგან. ეწყობა სანიტარულ-ჰიგიენური დღეები.</p> <p>ბიბლიოთეკის დეპარტამენტის აწარმოებს წიგნების უარების ჟურნალს, რომელზე დაყრდნობითაც ხდება ფონდში არ არსებული და მოთხოვნილი წიგნების შეძენა. იწარმოება დაგვიანებულ მკითხველთა სიები. ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ბიბლიოთეკების დეპარტამენტის მიზანია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა და მდიდარი წიგნადი ფონდით უზრუნველყოფა. ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია და მათი ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დევიზით „მეგობრები ყვალგან გვყავს“.</p> <p>მკითხველთათვის წიგნების შერჩევა, ფართო სპექტრის მკითხველის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და წიგნის ხელმისაწვდომობა.</p> <p>მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ბიბლიოთეკები გამართული და შეუფერხებელი მუშაობა წლის განმავლობაში. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის მკითხველთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. მოსალოდნელი შედეგი: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ბიბლიოთეკების გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირება წლის განმავლობაში და შექმნილია პირობები მოსახლეობის, განსაკუთრებით მოზარდი-ახალგაზრდების წიგნით დაინტერესებისთვის</p>		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 05			719.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება კულტურის დეპარტამენტთან არსებული ნორიოს (5 საშტ.ერთ.), მარტყოფის(4 საშტ.ერთ), ახალსოფლის,(3 საშტ.ერთ) სართიჭალის(8 საშტ.ერთ), გამარჯვების (4 საშტ.ერთ), ახალი სამგორისა(3 საშტ.ერთ) და ნაგების(2 საშტ.ერთ) ფილიალები და სათაო ცენტრი (28 შტატი) და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ბეთანია“ (16 საშტ.ერთ)</p> <p>კულტურის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს შემოქმედებითი სადამოების, ინტელექტუალური და შემეცნებითი ხასათის ღონისძიებების, ხსოვნის სადამოების, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების განვლილი შემოქმედებითი ცხოვრებისადმი მიძღვნილი სადამოების, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და გამორჩეული თარიღების აღსანიშნავი ღონისძიებების დაგეგმვასა და გამართვას. ასევე თეატრალური, საკონცერტო, სანახაობრივი, გასართობი, საინფორმაციო, საგამოფენო, ლიტერატურული, საწესჩვეულებო და ა.შ ღონისძიებების პროგრამების მომზადებასა და წარმოდგენას. გამოავლენს ხალხურ მთქმელს, ნიჭიერ ინდივიდუალურ შემსრულებლებსა და კოლექტივებს.</p> <p>ხელმძღვანელობს ხალხური რეწვის (ხელოსნობა, ქარგვა, კერვა, თექა, გობელინი, და ა.შ) მივიწყებული დარგების აღორძინებას და პოპულარიზაციას.</p> <p>ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის კულტურის დეპარტამენტთან ფუნქციონირებს უფასო სახელოვნებო წრეები , რომელშიც 250 მოზარდია გაწევრიანებული ესენია:</p> <p>საკლესიო გალობის შემსწავლელი წრე - (ქ.გარდაბანი), ქართული ხალხური სიმღერის შემსწავლელი (ქ. გარდაბანი), დასარტყამი ინსტრუმენტების შემსწავლელი (ქ.გარდაბანი),ხატვის შემსწავლელი,</p> <p>ასურული ცეკვის შემსწავლელი , ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავთა შემსავლელი ორი წრე (გამარჯვება და ახალსოფელი) - ტექსტილისა და ხატვის შემსწავლელი (ნორიო) , სამი თეატრალური წრე (ნორიო, მარტყოფი და სართიჭალა) და ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ზეგარდი“და „სვანთა“ .(ქ.გარდაბანი)ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის , გენდერული თანასწორობა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი სადამოების, ინტელექტუალური და შემეცნებითი ხასათის ღონისძიებების, ხსოვნის სადამოების, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების განვლილი შემოქმედებითი ცხოვრებისადმი მიძღვნილი სადამოების, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და გამორჩეული თარიღების აღსანიშნავი ღონისძიებების დაგეგმვა და გამართვა. ასევე თეატრალური, საკონცერტო, სანახაობრივი, გასართობი, საინფორმაციო, საგამოფენო, ლიტერატურული, საწესჩვეულებო და ა.შ ღონისძიებების პროგრამების მომზადება და წარმოდგენა. ხალხურ მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალურ შემსრულებლებსა და კოლექტივების გამოვლენა. ხალხური რეწვის მოვიწყებული დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია.</p> <p>ღონისძიებების გამართვა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე , მონაწილეობის მიღება ფესტივალებში,კონკურსებში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.</p> <p>მოსალოდნელი შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დეპარტამენტის ფილიალებისა და მასთან არსებული წრეების გამართული და შეუფერხებელი მუშაობა წლის განმავლობაში. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილება და მათი მონაწილეობა კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში, როგორც მუნიციპალტეტში ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით.მოსალოდნელი შედეგი: გენდერული საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმილია კულტურის დეპარტამენტის მიერ შეთავაზებული სერვისები და უზრუნველყოფილია დეპარტამენტის ფილიალებისა და მასთან არსებული წრეების გამართული და</p>		

	შეუფერხებელი მუშაობა წლის განმავლობაში
--	--

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუზეუმების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 06			225.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ,, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი"	
	ქვეპროგრამის აღწერა	კლასიკური განმარტებით მუზეუმი არის დაწესებულება, რომელიც აგროვეს, დოკუმენტებით ამყარებს, იცავს, გამოფენს და ინტერპრეტაციას უკეთებს მატერიალური კულტურის ნიმუშებს და მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას საზოგადოების მიერ სარგებლობისათვის. დღევანდელი გადასახედიდან მუზეუმები შესაძლებლობას აძლევენ ადამიანებს, შეისწავლონ კოლექციები სტიმულირებაზე დამყარებულ;ი სწავლისა და სიამოვნების მიღების მიზნით. მუზეუმი ხდება ადგილი სადაც უფრო ფართო კულტურული ცხოვრება იმკვიდრებს ადგილს. დემოკრატიზაცია და მისაწვდომობა რეალობა ხდება და ცივილიზაცია ფართოდ არის წარმოდგენილი. მუზეუმებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის კულტურის განვითარებასა და მისი აკადემიური გემოვნების ჩამოყალიბებაში, ისინი წარმოადგენენ მატერიალური, სულიერი, აგრეთვე საბუნებისმეტყველო ისტორიის მასალათა ძირითად საცავებს და ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათი აღრიცხვა, ექსპორინება და დაცვა.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუზეუმის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: სამუზეუმო ექსპონატების მოძიება, დაცვა, ექსპონირება, სამუზეუმო კოლექციების ოპტიმიზაცია-რესტავრაცია. გარდაბნის მუნიციპალიტეტში არსებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის მიზანია ამ პროცესში სკოლის მოსწავლეების, ეთნიკური უმცირესობის და სხვა დაინტერესებული პირების ჩართვა. შედეგი: უზრუნველყოფილია გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამართული ფუნქციონირება	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 07			123.1
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	
	ქვეპროგრამის აღწერა	მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების საქმიანობის მთავარი ფორმა წრეობრივი მუშაობაა. წრეები ძირითადად მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების ბაზაზე ფუნქციონირებს და რაც უფრო მეტ სკოლაში იქნება აღნიშნული წრეები, მით უფრო მეტი შესაძლებლობა იქნება მოსწავლეთა დაახლოებისა, ინტეგრირებული მეცადინეობების დაგეგმვისა და ჩატარებისა, ახალი იდეების გაჩენისა და განხორციელების შესაძლებლობისა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან ფუნქციონირებს 12 წრე, სადაც გაწევრიანებულია 303 მოსწავლე. წრეები გახსნილი გვაქვს რაიონის საჯარო სკოლებისა და ერთი კულტურის სახლის ბაზებზე; აქედან: სახელოვნებო წრე - 3, ხელმარჯვეთა - სართიჭალის N2 საჯ. სკოლაში; გიტარის შემსწავლელი - სართიჭალის N2 საჯ. სკოლაში; ხალხური საკრავებისა და სიმღერების შემსწავლელი - ნორიოს კულტურის სახლში. სპორტული წრე - ჭადრაკის შემსწავლელი - ახალი სამგორის საჯ. სკოლაში. ეკო-კლუბი - მარტყოფის N2 საჯ. სკოლაში. საგანმანათლებლო-საგნობრივი წრე -7. აქედან: ქართული ენის შემსწავლელი 3 წრე - აქთაკლიის, მუდანლოს და ქესალოს საჯ. სკოლებში; ასევე: მათემატიკის შემსწავლელი და შემოქმედ ბავშვთა და ხელოვნების შემსწავლელი წრეები- გარდაბნის N1 საჯ. სკოლაში; ისტორიის შემსწავლელი წრე - თელეთის საჯ. სკოლაში.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების საქმიანობის მიზანია: თავისი მუშაობის პრინციპითა და სპეციფიკით ემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდობის არაფორმალურ განათლებას, რომელიც ოფიციალური სასწავლო პროგრამის ნაწილია. დეპარტამენტში არსებულ წრეებსა და ეკო კლუბში სწავლება	

	<p>მიზნად ისახავს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების განვითარება-ჩამოყალიბებას არაფორმალურ გარემოში, სადაც მოსწავლეებს აქვთ მოტივაცია იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით, რაც ქმნის იმის მყარ საფუძველს, რომ ზრდასრულობაში, არაფორმალური განათლებით მიღებული ცოდნა, გამოადგებათ სხვადასხვა და ყველანაირ სიტუაციაში.</p> <p>შედეგი: გენდერული ასპექტების გათვალისწინებით შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი პირობები მოსწავლე-ახალგაზრდობის არაფორმალურ განათლების მისაღებას</p>
--	---

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მეგობრობის ცენტრის ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 08			180.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ,, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მეგობრობის ცენტრი"	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების დღესასწაულებთან დაკავშირებული ღონისძიებები.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალ ეთნიკური მოსახლეობისთვის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 03 01			107.9
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში.</p> <p>პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდობისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტულ ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემა.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, სპორტულ ოლიმპიადებისთვის მონაწილეთა ფორმების შექმნას და მათ დაჯილდოებას, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას;</p> <p>გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახური გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიული სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით, უზრუნველყოფს მის დანერგვასა და პოპულარიზაციას. სამსახური ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებსა და ახორციელებს მათ დაჯილდოებას, უზრუნველყოფს მათ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც. აუცილებელია ახალგაზრდობის განვითარების მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამა ,სადაც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდობისათვის სპეციფიკური საჭიროებები, ინტერესები და შესაბამისი მიდგომები რომლებიც ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. სამსახურის მიზანია ახალგაზრდებს მიეცეთ ერთიან სივრცეში ერთობლივი აქტივობებისა და საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ახალგაზრდული პროექტები : „შემოიარე საქართველო“ - „საგანმურის ძიება“;</p>	

	ინტელექტუალურ-შემეცნებითი პროექტი „ეტალონი“; „ახალგაზრდული ფესტივალი“;
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდა; ახალგაზრდობისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება; ახალგაზრდობისთვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის. შედეგი: შექმნილია შესაბამისი გარემო ახალგაზრდობის უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად გამოყენებისთვის; ხელშეწყობილია ახალგაზრდობის სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვა და მათი სულიერი და ინტელექტუალური განვითარება.

»

ნ) დანართის მეჩვიდმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **4,861.8** ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

		ათასი ლარი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4861.8
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	755.8
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	527.0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	228.8
06 02	სოციალური პროგრამები	4106.0
06 02 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	1035.0
06 02 02	ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი	56.0
06 02 03	სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა	101.0
06 02 04	თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა	330.0
06 02 05	ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	321.0
06 02 06	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	10.0
06 02 07	დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა	154.0
06 02 09	დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	10.0
06 02 10	უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა	60.0
06 02 11	ვეტერანთა და ომში დაღუპულთა მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა	30.0
06 02 12	უზუგეს პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	8.0
06 02 13	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	87.0
06 02 14	სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა	10.0
06 02 15	სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა	76.5
06 02 16	სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა	345.0
06 02 17	ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამა	195.0
06 02 18	მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა	68.0
06 02 19	სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონერების დახმარების პროგრამა	15.0
06 02 20	სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევნილთა ოჯახების დახმარების პროგრამა	47.5
06 02 21	მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა	94.0
06 02 22	ჩვილ ბავშვთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	4.0
06 02 23	ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფის პროგრამა	35.0
06 02 24	სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა	989.0
06 02 26	ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	25.0

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 01			527.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - გარდაზნის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი	
	ქვეპროგრამის აღწერა	<p>თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიწოდებულებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში გარდაზნის ჯანდაცვის ცენტრი ძირითადად ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლი) 2 იმუნიზაცია. 3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა 4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. 5. ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან. 6. დაავადების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯგუფების გამოვლენა და აღრიცხვა. რანდომიზებული კვლევის(თამბაქოს კონტროლი)განხორციელება მუნიციპალიტეტში ადგილობრივი კონტექსტის შესასწავლად. 	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;</p> <p>მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება</p>	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01			1035.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამა უზრუნველყოფს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაზნის მუნიციპალიტეტში იმ რეგისტრირებული მოსახლეობის, ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საოპერაციო, სამკურნალო, თერაპიულ (18 წლამდე) და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, რომელიც არ იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, მაგრამ განიცდის</p>	

	<p>ეკონომიურ გასაჭირს. ქვეპროგრამა ითვალისწინებს „სამედიცინო და სოციალური დახმარების კომისიის“ გადაწყვეტილებით წელიწადში ერთხელ (ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ორჯერ) საოპერაციო, სამკურნალო, თერაპიულ (18 წლამდე) და სხვა სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსებას გარდა სტომატოლოგიური მომსახურებისა, ესთეტიკური ქირურგიისა, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობისა, ლაზერული კორექციისა და არჩეული ექიმის ჰონორარისა (დავალანების არსებობის შემთხვევაშიც) 2500 (ორიათას ხუთასი) ლარის ფარგლებში; მედიკამენტების შეძენის შემთხვევაში: 500 (ხუთასი) ლარის, შშმ ბენეფიციარის შემთხვევაში 800 (რვაასი) ლარის ფარგლებში; რეაბილიტაციის საჭიროების მქონე ბავშვების (მომლოდინის შემთხვევაშიც) - 1200 (ათას ორასი) ლარის ფარგლებში, მშობიარობის შემთხვევაში არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა, თვალის ინექციის შემთხვევაში არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა.</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისათვის სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. შედეგი- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 02			56.0
	<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური</p>	
	<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის დაფინანსება, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იმ მოქალაქეებს ეხმარება, ვისაც ესაჭიროება სოციალური რეაბილიტაცია. ქვეპროგრამა გენდერულად მნიშვნელოვანია და მისი განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები.</p>	
	<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>წვლილის შეტანა გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხო ცხოვრებისა და სიცოცხლის გაუმჯობესებაში. სამედიცინო კაბინეტი რომელიც აკმაყოფილებს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს და ფუნქციონირებს პერსონალის, მოსახლეობისა და ბენეფიციარების თანამონაწილეობით.</p>	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 03			101.0
	<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური</p>	
	<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>პროგრამა ითვალისწინებს სასაჩუქრე ნობათების შექმნასა და პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებისთვის სადღესასწაულო დღეებში გადაცემას, კერძოდ: 1. 3 მარტს (დედი დღე) - მრავალშვილიან ოჯახებს; 2. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე - სოციალურად დაუცველ მარტოხელა პენსიონერებს; 3. 9 მაისს - დიდი სამამულო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს; 4. 26 მაისს (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე) - ტერიტორიული მთლიანობისთვის მეზობელ შშმ ვეტერანებს; 5. 1 ივნისს (ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე): ა) შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებს (ეტლს მიჯაჭვული, ცერებრალური დამბლა, დაუნის სინდრომი); ბ) სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვებს; გ) ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“ ცენტრის ბენეფიციარებს; დ) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებს; ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარებს. 6. ახალ წელს: ა) სოციალურად დაუცველ ოჯახებს; ბ) შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებს (ეტლს მიჯაჭვული, ცერებრალური დამბლა, დაუნის სინდრომი); გ) სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვებს; დ) ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი</p>	

	განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“ ცენტრის ბენეფიციარებს; ე) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიან ოჯახებს; ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარებს.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის სადღესასწაულო საჩუქრების გადაცემა . პროგრამაში მონაწილე მიზნობრივი ჯგუფების მორალური მხარდაჭერა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 04	ა		330.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „თერაპიული ცენტრი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის“		
ქვეპროგრამის აღწერა	დღის ცენტრის პროგრამას მულტიდისციპლინური გუნდი ახორციელებს. მულტიდისციპლინური შემადგენლობაში არიან: ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური განათლების პედაგოგი, ოკუპაციური თერაპევტი(მოწვეული), მშობელი, სოც თერაპევტი, რეაბილოლოგი. თითოეული ბავშვის სპეციალური ინსტრუმენტით შეფასების შემდეგ იქმნება ინდივიდუალური აბილიტაცია/რეაბილიტაციის და საგანმანათლებლო გეგმები, რომელიც ეფუძნება ბავშვის შესაძლებლობებს და ინტერესებს. დღის ცენტრში ბენეფიციარებს აქვთ ორჯერადი სრულფასოვანი კვება. ემსახურებათ ტრანსპორტი, სახლიდან ცენტრში და ცენტრიდან სახლში. ქვეპროგრამა გენდერულად მნიშვნელოვანია.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ცენტრის მიზანია, ბავშვებისა და მოზარდების ღირსეული, ხალისიანი და მრავალფეროვანი ცხოვრების უზრუნველყოფა, ფუნქციური უნარების განვითარება, დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაზრდა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. ინდივიდუალური საჭიროების მქონე ადამიანების ცენტრში მოზიდვა, საზოგადოებაში ინტეგრირება, გარემოსთან ადაპტაციაში ხელშეწყობა. უზრუნველყოფს სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შშმ პირთა რეაბილიტაციის სპეციალიზებული ქვეპროგრამის შემუშავება და ამოქმედება.		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 05	ა		321.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობისათვის, სახელმწიფო მზრუნველობიდან გამოსული პირებისათვის, რომლებმაც ზრუნვის ორგანო დატოვეს არაუმეტეს 6 თვის ვადისა, ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახებისათვის, რომლებიც არ იმყოფებიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, მაგრამ განიცდიან ეკონომიურ გასაჭირს „სამედიცინო და სოციალური დახმარების კომისიის“ გადაწყვეტილებით წელიწადში ერთხელ (მერის დავალებით ოჯახის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ორჯერ) მატერიალურ დახმარების გაცემას 300 (სამასი) ლარის ფარგლებში, სახელმწიფო მზრუნველობიდან გამოსულ პირზე 1000 (ათასი) ლარის ფარგლებში.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია გაჭირვებული მოსახლეობის, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების და სახელმწიფო მზრუნველობიდან გამოსული ბენეფიციარების მატერიალური დახმარება. შედეგი- მოსარგებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება. შედეგი- ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან ერთჯერადი მატერიალური დახმარებით.		

კოდი	ქვეპროგრამა	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების	2023 წლის დაფინანსება
------	-------------	-------------------------------------	-----------------------

კოდი	ქვეპროგრამის სახელი	პროგრამა	ათას ლარში
			10.0
06 02 06	ს დასახელება		
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური, ზავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანების, იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურებას: გარდაცვლილი ვეტერანების სარიტუალო მომსახურება - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება, თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს - 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; კრიზისული ზავშვიანი ოჯახის წევრის გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება - 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; უპატრონო მიცვალებულების სარიტუალო მომსახურება 400 (ოთხასი) ლარის ფარგლებში.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ვეტერანების, იძულებით გადაადგილებული პირების/დევნილების და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფა. შედეგი- მოსარგებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.	

კოდი	ქვეპროგრამის სახელი	დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
			154.0
06 02 07	ს დასახელება		
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური, ზავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზზე დამოკიდებული სახელმწიფო პროგრამაში ჩართული მოქალაქეების სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებას თვეში 160 (ას სამოცი) ლარის ოდენობით.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი- მოსარგებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ხელმისაწვდომი ჯანდაცვა	

კოდი	ქვეპროგრამის სახელი	დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
			10.0
06 02 09	ს დასახელება		
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური, ზავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დედ-მამით ობოლი ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერას, კერძოდ, დედ მამით ობოლ თითოეულ ბავშვზე, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი, დახმარება გაიცემა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით წელიწადში ორჯერ (1 ივნისს და ახალ წელს).	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი- მოსარგებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.	

კოდი	ქვეპროგრამის სახელი	უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა დახმარების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
			60.0
06 02 10	ს დასახელება		
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური, ზავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	

ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული :</p> <p>ა) სოციალურად დაუცველი (75000 ქულა) უსახლკარო ოჯახების დახმარებას, ბინის ქირით თვეში არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარისა;</p> <p>ბ) ხანძრის (ან სტიქიის) შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი გაჭირვებული ოჯახების დახმარებას, ბინის ქირით თვეში არაუმეტეს 200 (ორასი) ლარისა;</p> <p>გ) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვიანი ოჯახების დახმარებას, ბინის ქირით თვეში არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარისა.</p>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია უსახლკაროდ დარჩენილი, დაზარალებული ოჯახების და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა. შედეგი- მოსარგებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება. შედეგი- თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ოჯახებისათვის გაუმჯობესებულია საცხოვრებელი პირობები</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ვეტერანთა და ომში დაღუპულთა მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 11			30.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარების გაცემას:</p> <p>ა) დიდი სამამულო ომის მონაწილეებზე - 1000 (ათასი) ლარის და მათთან გათანაბრებულ პირებზე 500(ხუთასი) ლარის ოდენობით - 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით;</p> <p>ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის შშმ ვეტერანებზე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებზე (მშობელი, შვილი, ქორწინებაში მყოფი მეუღლე) 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით - 17 ოქტომბერს ვეტერანთა დღის აღსანიშნავად;</p> <p>გ) სოციალურად დაუცველ (1000-დან 65 000 ქულის ჩათვლით) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ვეტერანებზე და მათთან გათანაბრებულ პირებზე წელიწადში ერთხელ 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით;</p> <p>დ) სოციალურად დაუცველ (65 001-დან 100 000 ქულის ჩათვლით) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ვეტერანებზე და მათთან გათანაბრებულ პირებზე წელიწადში ერთხელ 300 (სამასი) ლარის ოდენობით.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი- მოსარგებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება. შედეგი- ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახები უზრუნველყოფილი არიან მატერიალური დახმარებით</p>		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	უხუცეს პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 12			8.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის ასი და ას წელს გადაცილებული უხუცესების მატერიალურ დახმარებას: ა) 1 ოქტომბერს - უხუცესთა საერთაშორისო დღის ღონისძიებასთან დაკავშირებით 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით; ბ) 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით 600</p>		

	(ექვსასი) ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ასი და ას წელს გადაცილებული უზუცესების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი- მოსარგებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 13			87.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარების სოციალურ დახმარებას. შშმ მქონე ბავშვების (18წლამდე) მატერიალურ დახმარებას 300 (სამასი) ლარის ოდენობით: ა) შშმ ბავშვები (დაუნის სინდრომი, ცერებრალური დამბლა) - 21 მარტი; ბ) შშმ ბავშვები (აუტიზმი) - 2 აპრილი; გ) შშმ ბავშვები (ლეიკემია, ეტლსმიჯაჭვული, მხედველობა, მეტყველება დასმენადაქვეითებული) და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახის შშმ ბავშვები (18წლამდე) - 1 ივნისი. პროგრამა ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ (3 დეკემბერი) შშმ პირების (18 წლის ზემოთ) მატერიალურ დახმარებას 300 (სამასი) ლარის ოდენობით: ა) შშმ პირი (ეტლს მიჯაჭვული, მხედველობა (მკვეთრი), მეტყველება და სმენადაქვეითებული); ბ) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების შშმ მშობელი. შემუშავებულია გენდერულად მგრძობიარე პროგრამა.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი - შშმ პირები და მათი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 14			10.0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების დახმარებას ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით. შემუშავებულია გენდერულად მგრძობიარე პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვებისა და მათი ოჯახების გაძლიერებას.	
	ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი- ბავშვის ოჯახური გარემოს შენარჩუნება	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 15			76.5
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 25 წლამდე დედ-მამით ობოლი, მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი იმ სტუდენტების სოციალურ დახმარებას, რომლებიც სწავლობენ აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე. სტუდენტებზე დახმარება გაიცემა 100 (ასი) ლარის ოდენობით,	

	ყოველთვიურად აკადემიური სასწავლო წლის განმავლობაში. ასევე მაღალი აკადემიური მოსწრების (90 ქულიდან 100 ქულის ჩათვლით) საბაკალავრო საფეხურის სტუდენტის სწავლის სემესტრული თანხის თანადაფინანსებას 500 (ხუთასი) ლარის ფარგლებში.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია დედ-მამით ობოლი, მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მატერიალური მხარდაჭერა. შედეგი- მოსარგებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება. შედეგი - სხვადასხვა სოციალური სტატუსი მქონე სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური მხარდაჭერით

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 16			345.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
